

აბონენტი (სახელი, გვარი, პირადი ნომერი, საკონტაქტო ნომერი, ელ. ფოსტა):

ვადასტურებ და ვეთანხმები ქვემოთმოცემულ „აქციის“ პირობებს:

• **აქციის დასახელება:** "აქცია კომბო"

• **აქციის პირობები:**

1. "აქცია კომბოს" (შემდგომში "აქცია") ფარგლებში, "სილქნეტის" ორმაგი, სამმაგი შეთავაზებით ან ერთ ანგარიშზე არსებული სამი მომსახურებით მოსარგებლე აბონენტებისათვის, შესაძლებელია დამატებითი მომსახურება "ბუსტისა" და თემატური პაკეტ(ებ)ის სპეციალურ ფასად სარგებლობა.
2. აქცია ვრცელდება აბონენტებზე, რომლებიც დარეგისტრირდებიან შემდეგ მომსახურებებზე:
 - 2.1. ფიზიკური პირები, რომლებიც დარეგისტრირდებიან ოპტიკურ ორმაგ შეთავაზებაზე (ინტერნეტ და სილქ ტვ მომსახურება ერთად), ოპტიკურ სამმაგ/ოთხმაგ შეთავაზებაზე, ან მომსახურებების ნებისმიერ კომბინაციაზე, რომელიც მოიცავს ოპტიკურ ინტერნეტ და ოპტიკურ სილქ ტვ მომსახურებას ერთად.
 - 2.2. ფიზიკური პირები, რომლებიც დარეგისტრირდებიან DSL ინტერნეტ და DSL სილქ ტვ მომსახურებაზე ერთდროულად, DSL სამმაგ/ოთხმაგ შეთავაზებაზე ან მომსახურებების ნებისმიერ კომბინაციაზე, რომელიც მოიცავს DSL ინტერნეტ და DSL სილქ ტვ მომსახურებას.
 - 2.3. ოპტიკური ინტერნეტ მომსახურების, ან ერთდროულად ოპტიკური ინტერნეტ და სილქფონ მომსახურებების მიმღები აბონენტები, რომლებიც იმატებენ ოპტიკურ სილქ ტვ მომსახურებას ან მომსახურებებს, რომელიც მოიცავს სილქ ტვ მომსახურებას და სილქ ტვ-ის დამატებით მომსახურებები რეგისტრირდება ოპტიკურ ორმაგ, სამმაგ/ოთხმაგ შეთავაზებაზე ან სამი მომსახურება რეგისტრირდება ერთ სააბონენტო ანგარიშზე.
 - 2.4. DSL ინტერნეტ მომსახურების მიმღები აბონენტები, რომლებიც იმატებენ DSL სილქ ტვ მომსახურებას და DSL სილქ ტვ-ის დამატებით მომსახურებები რეგისტრირდება სამმაგ/ოთხმაგ შეთავაზებაზე, ან სამი მომსახურება რეგისტრირდება ერთ სააბონენტო ანგარიშზე.
 - 2.5. ოპტიკური სილქ ტვ მომსახურების, ან ერთდროულად სილქ ტვ და სილქფონ მომსახურებების მიმღები აბონენტები, რომლებიც იმატებენ ოპტიკურ ინტერნეტ მომსახურებას ან მომსახურებებს, რომელიც მოიცავს ოპტიკურ ინტერნეტს, და ინტერნეტის დამატებით მომსახურებები რეგისტრირდება ერთ სააბონენტო ანგარიშზე.
 - 2.6. მე-2 პუნქტში მითითებული კომბინაციებით მოსარგებლე აბონენტებზეც.
3. აქციაზე რეგისტრაციის პერიოდი განისაზღვრება **2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით**.
4. აქციის პირობით ინსტალაციის პერიოდი განისაზღვრება მე-3 პუნქტით განსაზღვრული ვადის დასრულებიდან **60 (სამოცი) კალენდარული დღით**. აღნიშნული პერიოდის შემდეგ ინსტალაციის შემთხვევაში აბონენტი ვერ ისარგებლებს აქციის პირობებით.
5. აქციის მოქმედების ვადა განისაზღვრება აქციაზე რეგისტრაციიდან **2 (ორი) წლის ვადით**.
6. მე-2 პუნქტში მითითებული მომსახურების მიმღებ აბონენტებს, რომლებიც არ სარგებლობენ სილქ ტვ-ის თემატური პაკეტ(ებ)ით, აქციის ფარგლებში ისარგებლებენ ოპტიკურ მომსახურებებზე "კომბო 1 ოპტიკ"-ის, ხოლო DSL მომსახურებებზე "კომბო 1 DSL" პირობებით, რომლის ფარგლებშიც მიიღებენ მომსახურება "ბუსტს" და 1 (ერთი) ნებისმიერ თემატურ პაკეტს (გარდა თემატური პაკეტისა "სილქ სპორტი"). "კომბო 1 ოპტიკ"-ის ღირებულება განისაზღვრა 7 (შვიდი) ლარის, ხოლო "კომბო 1 DSL"-ის ღირებულება - 6 (ექვსი) ლარის ოდენობით.
7. მე-2 პუნქტში მითითებული მომსახურების მიმღებ აბონენტებს, რომლებიც სარგებლობენ სილქ ტვ-ის ერთი თემატური პაკეტით, აქციის ფარგლებში ისარგებლებენ ოპტიკურ მომსახურებაზე - "კომბო 2 ოპტიკ"-ის, ხოლო DSL მომსახურებებზე - "კომბო 1 DSL"-ის პირობებით, რომლის ფარგლებშიც მიიღებენ მომსახურება "ბუსტს" და 2 (ორი) ნებისმიერ თემატურ პაკეტს (გარდა თემატური პაკეტისა "სილქ სპორტი"). "კომბო 2 ოპტიკ"-ის ღირებულება განისაზღვრა 5 (ხუთი) ლარის, ხოლო "კომბო 2 DSL" -ის ღირებულება 4 (ოთხი) ლარის ოდენობით.
8. აქციის ფარგლებში მე-2 პუნქტში მითითებული ოპტიკური და DSL მომსახურების მიმღებ აბონენტებს, რომლებიც სარგებლობენ 2 (ორი) და 2-ზე მეტი სილქ ტვ-ის თემატური პაკეტებით, აქციის ფარგლებში ისარგებლებენ "კომბო 3 ოპტიკა" და "კომბო 3 DSL" პირობებით, რომლის ფარგლებშიც ინტერნეტ მომსახურების და სილქ ტვ მომსახურების სააბონენტო გადასახადის ფარგლებში მიიღებენ მომსახურება "ბუსტს" და 2 (ორი) ნებისმიერ თემატურ პაკეტს (გარდა "სილქ სპორტისა").

9. აბონენტს, აქცია "კომბოს" ფარგლებში "ბუსტის" გააქტიურებას შეძლებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას აქვს "ბუსტთან" თავსებადი ტექნოლოგია და ინტერნეტ მომსახურების პაკეტი, არ სარგებლობს "ბუსტით" (სტანდარტული ან რომელიმე აქციის პირობით), ან DSL ტექნოლოგიის შემთხვევაში ტექნიკურად შესაძლებელია "ბუსტის" აქტივაცია. ამ შემთხვევებში არ იზღუდება "კომბო" შეთავაზების ფარგლებში მხოლოდ სილქ ტვ-ის თემატური პაკეტების აქტივაციის შესაძლებლობა, აღნიშნულ შემთხვევაში "კომბოს" ყოველთვიური ღირებულება არ ექვემდებარება ცვლილებას. აქცია "კომბოს" ფარგლებში შეზღუდულია მხოლოდ "ბუსტის" აქტივაციის შესაძლებლობა.
10. აბონენტს ეზღუდება "კომბო" აქციის გააქტიურების შესაძლებლობა იმ შემთხვევაში, თუ აბონენტი ირჩევს, ან გააქტიურებული აქვს სილქ ტვ-ის "დელუქს" ან "დელუქს HD" პაკეტები (ან სპეციალური შეთავაზება, რომელიც მოიცავს აღნიშნულ პაკეტებს).
11. "კომბო" აქციის პირობების აქტივაცია ხორციელდება აბონენტის სურვილის დაფიქსირების შემთხვევაში. აქციის პირობით რეგისტრაციის ან აქციის მოქმედების პერიოდში აბონენტს უფლება აქვს უარი განაცხადოს აქციის პირობებით სარგებლობაზე.
12. აქციის მოქმედების პერიოდის ამოწურვის შემდეგ აბონენტს დაერიცხება აქციის ფარგლებში გააქტიურებული "ბუსტის" და სილქ ტვ-ის თემატური პაკეტ(ებ)ის სტანდარტული ღირებულება.
13. მე-7 და მე-8 პუნქტებით გათვალისწინებული 2 (ორი) თემატური პაკეტიდან შესაძლებელია მხოლოდ 1 (ერთი) თემატური პაკეტის აქტივაცია. აღნიშნულ შემთხვევაში "კომბოს" ყოველთვიური ღირებულება არ ექვემდებარება ცვლილებას.
14. მე-6 მე-7 და მე-8 პუნქტებში მითითებული სილქ ტვ თემატური პაკეტების რაოდენობა, რის მიხედვითაც განისაზღვრება ამავე პუნქტებით გათვალისწინებული რომელი შეთავაზება ეკუთვნის აბონენტს, განისაზღვრება აბონენტის მიერ სტანდარტული პირობებით გააქტიურებული სილქ ტვ თემატური პაკეტების რაოდენობით. აღნიშნული თემატური პაკეტების რაოდენობაში მხედველობაში მიიღება სამმაგი/ოთხმაგი შეთავაზების ფარგლებში გააქტიურებული თემატური პაკეტებიც.
15. იმ შემთხვევაში, თუ მე-6 პუნქტით განსაზღვრული აქციის პირობებით მოსარგებლე აბონენტი სტანდარტული პირობებით დაიმატებს ერთ ან ერთზე მეტ სილქ ტვ-ის თემატურ პაკეტს, აბონენტს ავტომატურად გაუაქტიურდება მე-7 ან მე-8 პუნქტებით განსაზღვრული პირობები და ტარიფები, იმის მიხედვით, თუ რომელი მათგანი ეკუთვნის სტანდარტული პირობებით გააქტიურებული თემატური პაკეტების რაოდენობის გათვალისწინებით. აბონენტი, მე-7 ან მე-8 პუნქტებით განსაზღვრულ მომსახურებ(ებ)ის, ამავე პუნქტებით განსაზღვრული პირობებით გააქტიურებას შეძლებს სურვილის დაფიქსირების შემთხვევაში.
16. იმ შემთხვევაში, თუ მე-7 პუნქტებით განსაზღვრული აქციის პირობებით მოსარგებლე აბონენტი სტანდარტული პირობებით დაიმატებს ერთ ან ერთზე მეტ თემატურ პაკეტს, აბონენტს ავტომატურად გაუაქტიურდება მე-8 პუნქტით განსაზღვრული პირობები და ტარიფები. აბონენტი მე-8 პუნქტებით განსაზღვრულ მომსახურებ(ებ)ის, ამავე პუნქტებით განსაზღვრული პირობებით გააქტიურებას შეძლებს სურვილის დაფიქსირების შემთხვევაში.
17. თუ "კომბო" აქციის პირობებით მოსარგებლე აბონენტი სტანდარტული პირობებით გააქტიურებული თემატური პაკეტების გაუქმებისას, აბონენტი სტანდარტული პირობებით შეინარჩუნებს 2 (ორი) თემატურ პაკეტზე ნაკლებს, აბონენტს შეეზღუდება აქციის პირობები.
18. თუ "კომბო" აქციის პირობებით მოსარგებლე აბონენტი ჩაერთვება სამმაგი/ოთხმაგი შეთავაზებაში და სტანდარტული პირობებით გააქტიურებული სილქ ტვ-ის თემატური პაკეტების რაოდენობა შეესაბამება აქციის პირობებს, აბონენტს არ ეზღუდება წინამდებარე აქციის პირობებით სარგებლობის უფლება.
19. თუ აბონენტს "კომბო" აქციის გააქტიურებამდე 3 (სამი) თვის განმავლობაში სტანდარტული პირობებით (არა სამმაგი/ოთხმაგი შეთავაზების ფარგლებში, არა წინამდებარე აქციის, ან რომელიმე სხვა აქციის (რომელშიც მონაწილეობს თემატური პაკეტი) ფარგლებში) გააქტიურებული ჰქონდა "კომბო" შეთავაზებით გათვალისწინებული სილქ ტვ-ს რომელიმე თემატური პაკეტი, აბონენტი "კომბო" შეთავაზების ფარგლებში შეძლებს გაიაქტიუროს აღნიშნული თემატური პაკეტი მისი გაუქმებიდან 3 (სამი) თვის შემდეგ. აღნიშნული პირობა არ მოქმედებს "კომბო" აქციის ძალაში შესვლამდე გაუქმებულ თემატურ პაკეტებზე.
20. იმ შემთხვევაში, თუ აბონენტი "ბუსტის" აქციის ფარგლებში არ სარგებლობს "ბუსტით" (ერთი თვის განმავლობაში "ბუსტის" გაუქმება/გააქტიურების რაოდენობის შეზღუდვის გამო, DSL ინტერნეტზე ტექნიკური მიზეზის გამო, და სხვა) აბონენტს "ბუსტი" გაუაქტიურდება მხოლოდ მის მიერ სურვილის დაფიქსირების შემთხვევაში.
21. აბონენტის ინიციატივით აქციის პირობებზე უარის თქმის, ან აქციის პირობების სარგებლობის შეწყვეტის შემთხვევაში აბონენტს აქციის ფარგლებში გააქტიურებულ თემატურ პაკეტებზე დაერიცხება სტანდარტული ღირებულება, ხოლო "ბუსტი" გაუქმდება.
22. იმ შემთხვევაში, თუ აბონენტს, ოპტიკურ სილქ ტვ მომსახურებაზე გააქტიურებული აქვს "კომბოს" ფარგლებში სილქ ტვ თემატური პაკეტები და ამავე მომსახურებაზე დაარეგისტრირებს ინტერნეტ მომსახურებას, ან მომსახურების კომბინაციას, რომელიც მოიცავს ინტერნეტს, აღნიშნული ინტერნეტ მომსახურების ინსტალაციამდე აბონენტს არ ეზღუდება "კომბოს" ფარგლებში მხოლოდ თემატური პაკეტებით სარგებლობის უფლება ("კომბოს" ყოველთვიური ღირებულება არ ექვემდებარება ცვლილებას). ინტერნეტ მომსახურების ინსტალაციისას (მომსახურების ჩართვისას) განხორციელდება "ბუსტის" ავტომატურად გააქტიურება. იმ შემთხვევაში, თუ გაუქმდება ინტერნეტ მომსახურების განაცხადი (ინსტალაციამდე), აბონენტს შეუწყდება აქციის პირობებით სარგებლობის უფლება 21 პუნქტით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

23. აქციის მოქმედების პერიოდში არ იზღუდება მომსახურებ(ებ)ების დროებით შეჩერების შესაძლებლობა. დროებით შეჩერების შემთხვევაში აქციის მოქმედების პერიოდის ათვლა არ ჩერდება.

24. აქციის მოქმედების პერიოდში დასაშვებია ინტერნეტ და სილქ ტვ მომსახურების საბაზისო პაკეტის სხვა პაკეტებით ცვლილება, შემდეგი პირობების გათვალისწინებით, თუ აბონენტი ირჩევს ოპტიკური ან DSL სილქ ტვ მომსახურების ისეთ პაკეტს, რომელზეც არ ვრცელდება აქცია, აბონენტს უწყდება აქციით სარგებლობის უფლება. თუ აბონენტი ირჩევს ინტერნეტ მომსახურების ისეთ პაკეტს, რომელთანაც არ არის თავსებადი "ბუსტი", აბონენტს უნარჩუნდება აქციით სარგებლობის უფლება მე-9 პუნქტში განსაზღვრული პირობით.

25. "კომბო" აქციის პირობებით მოსარგებლე აბონენტის მიერ ინტერნეტ მომსახურების ისეთი პაკეტებით ცვლილებისას, რომელთანაც თავსებადია "ბუსტი", აბონენტს გაუქტიურდება "ბუსტი", თუ მე-9 პუნქტში მოცემული შეზღუდვების გათვალისწინებით შესაძლებელია აღნიშნული მომსახურების აქტივაცია.

26. აქციის მოქმედების პერიოდში არ იზღუდება აქციის ფარგლებში ჩართული სილქ ტვ თემატური პაკეტის აქციის ფარგლებში გათვალისწინებული სხვა თემატური პაკეტით ცვლილების შესაძლებლობა (კომპანიაში მოქმედი თემატური პაკეტის ცვლილების პირობების გათვალისწინებით).

27. "კომბო" აქციის პირობებით მოსარგებლე აბონენტის მიერ "კომბოს" სატარიფო გეგმის, სილქ ტვ თემატური პაკეტების, სილქ ტვ ძირითადი პაკეტის, აქციის ფარგლებში გათვალისწინებული "ბუსტის" მოგვიანებით გააქტიურებით, აქციის გააქტიურების თარიღი არ იცვლება და აქციის მოქმედების ვადა არ ექვემდებარება ცვლილებას.

28. მომსახურების მოწყობის მისამართის ცვლილებისას, აბონენტს ახალ მისამართზე უწყდება მისამართის ცვლილებამდე გააქტიურებული აქციით სარგებლობის უფლება.

29. იმ შემთხვევაში, თუ მისამართის ცვლილებაზე რეგისტრაციისას, აქციის პირობებით რეგისტრაციის პერიოდი არ არის დასრულებული, მე-2 პუნქტით განსაზღვრული მომსახურებების რეგისტრაცია მოხდება აქციის პირობებით.

30. იმისთვის, რომ ახალ მისამართზე აბონენტმა ისარგებლოს აქციის პირობებით, მომსახურების ინსტალაცია უნდა განხორციელდეს მე-4 პუნქტით განსაზღვრული ვადის ამოწურვამდე.

31. ტექნოლოგიის ცვლილებისას, აბონენტს ახალ ტექნოლოგიაზე გადასვლისას, უწყდება ტექნოლოგიის ცვლილებამდე გააქტიურებული აქციით სარგებლობის უფლება.

32. იმ შემთხვევაში, თუ ტექნოლოგიის ცვლილებაზე რეგისტრაციისას, აქციის პირობებით რეგისტრაციის პერიოდი არ არის დასრულებული, მე-2 პუნქტით განსაზღვრული მომსახურებების რეგისტრაცია მოხდება აქციის პირობებით.

33. იმისთვის, რომ ახალ ტექნოლოგიაზე გადასვლისას, აბონენტმა ისარგებლოს აქციის პირობებით, მომსახურების ინსტალაცია უნდა განხორციელდეს მე-4 პუნქტით განსაზღვრული ვადის ამოწურვამდე.

დანართი N1

მომსახურების დასახელება		ღირებულება
ოპტიკური ტექნოლოგია		
ვისაც არ აქვს თემატური - "ბუსტი" და 1 თემატური	კომბო 1 ოპტიკა	7 ლარი
ვისაც აქვს 1 თემატური - "ბუსტი" და 2 თემატური	კომბო 2 ოპტიკა	5 ლარი
ვისაც აქვს 2 და 2-ზე მეტი თემატური - "ბუსტი" და 2 თემატური	კომბო 3 ოპტიკა	"ბუსტი" ინტერნეტ მომსახურების სააბონენტო გადასახადის ფარგლებში, თემატური პაკეტები სატელევიზიო მომსახურების სააბონენტო გადასახადის ფარგლებში
DSL ტექნოლოგია		
ვისაც არ აქვს თემატური - "ბუსტი" და 1 თემატური	კომბო 1 DSL	6 ლარი
ვისაც აქვს 1 თემატური - "ბუსტი" და 2 თემატური	კომბო 2 DSL	4 ლარი
ვისაც აქვს 2 და 2-ზე მეტი თემატური - "ბუსტი" და 2 თემატური	კომბო 3 DSL	"ბუსტი" ინტერნეტ მომსახურების სააბონენტო გადასახადის ფარგლებში, თემატური პაკეტები სატელევიზიო მომსახურების სააბონენტო გადასახადის ფარგლებში
თემატური პაკეტების ჩამონათვალი		
თემატური პაკეტების არჩევა შესაძლებელია შემდეგი სიიდან:		
პლიუსი		
კინო		
სპორტი		
საბავშვო		
ჰობი		
HD		
18+		
სილქ მიქსი(მხოლოდ სტანდარტ პაკეტთან კომბინაციაში)		

შენიშვნა: _____

მხარეთა ხელმოწერები:

სს „სილქნეტი“ წარმომადგენელი _____

აბონენტი _____